



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
სახელმწიფო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

№ 23

„06“ 03 2014 წ.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად
გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219
დადგენილების მე-5 მუხლის, სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“
ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის
შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და
პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სააგენტოს
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი – ანა იმნაიშვილი.
2. ანა იმნაიშვილმა თავისი საქმიანობა განახორციელოს, „საჯარო ინფორმაციის
ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების შესაბამისად.
3. სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გვერდზე ელექტრონულად გასაცემი და
გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსების და პერიოდულად განახლების მიზნით,
დაევალოთ სამსახურის უფროსებს შესაბამისი ინფორმაციის გადაცემა, ელექტრონული
ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისთვის.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით
გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის
თაობაზე“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 9 სექტემბრის №44 ბრძანება.

მიხეილ ხმალაძე